ხუთშაბათი 18 იანვარი, 1907 წ.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 11.

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი ხრიფტით პირველ გვერდზე მეტრით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.
ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებისა მიიღება «ისარი»-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.
რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელნაწერები წერილები არ დაიბეჭდება. ... მცირე წერილების და კორესპონდენციების ... ...
სურნოვის საჭიროა საფოსტო მარკები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“

**მიიღება ხელის მოწერა 1907 წლისათვის.**

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ი ს ა რ ი

გაზეთი ღირს:

| ერთის წლით: | | ნახევარი წლით: | | ერთის თვით: | |
|---|---|---|---|---|---|
| ტფილისში | 6 მ. 50 კ. | ტფილისში | 4 მ. — | ტფილისში | — მ. 75 კ. |
| ტფილისს გარეშე | 7 „ — „ | ტფილისს გარეშე | 4 „ 50 „ | ტფილისს გარეშე | — „ 80 „ |
| საზღვარ-გარეთ | 12 „ — „ | საზღვარ-გარეთ | 6 „ — „ | საზღვარ-გარეთ | 1 „ 50 „ |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

**ხელის მოწერა მიიღება:**

ტფილისში: 1. «ისარი»-ს რედაქციაში (ელისაბედის ქ., № 1, მიხაილ. ხიდთან). 2. ... ქ. ... ქუთაისში: ... შორაპანში: ... ბათუმში: ...

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ИСАРИ“.

ქნეინა სალომე ალექსანდრის ასული და თავ. ბესარიონ გრიგორის ძე მხეიძე ... უწყებენ ... გარდაცვალებას ... სიყვარულ ქმრის, მამის—ძმის ... ...

## დიმიტრი ბესარიონის ძის მხეიძისას.

დაკრძალვა ... 20 იანვარს, გასვენება ქუთაისიდან 18 იანვარს ... საათზე. (1—კ—1)

## არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში

ტფილისის ქალაქის თავის თანამდებობის ... ამცნობს ... , რომ ამრჩეველს, რომელთაც ... სახელზე გაგზავნილი განცხადებანი და საარჩევნო ბარათების ბლანკები, შეუძლიათ ... მიიღონ ... ... ...

მიიღება განცხადებებისა და ბლანკებისა დაიწყება 20 იანვრიდან.

... ამრჩეველზე. ამისთვის ამრჩეველმა უნდა წარადგინოს თავის სახელზე მიღებული განცხადება, რომელზედაც შესაფერად შენიშვნას გააკეთებენ.

ამას გარდა, იმ ამრჩევლებს, რომელნიც თავის დროზე ვერ მიიღებენ განცხადებებს და საარჩევნო ბლანკებს ან დაჰკარგავენ, შეუძლიანთ მიიღონ ისინი არჩევნების დღეს საარჩევნო სადგომში შესვლის დროს. ამისთვის მათ უნდა წარადგინონ ზემოდ ჩამოთვლილი ვინაობის შემამოწმებელი ერთ ერთი ქაღალდი. (1—ნ.—1)

კახეთის მევენახეთა საზოგადოების

## „კახეთის“

გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა 1907 წლის 18 თებერვალს დანიშნულია **საზოგადო კრება** ტფილისში დილის 10 საათზედ საზოგადოების კანტორაში.

კრებამ უნდა განიხილოს: წლიური ანგარიში, 1906/1907 საანგარიშო წლის ხარჯთ-აღრიცხვა და სამოქმედო პლანი; საზოგადოების ახალი წევრების არჩევა; არჩევა სარევიზიო კომისიის ორის წევრისა, გამგეობის ერთის წევრისა და მის კანდიდატისა. (2—ნ.—1)

SALON „MODES“

## სამკერვალო

ვღებულობთ და ვასრულებთ წესიერად, თავის დროზე, ყოველნაირ დაკვეთას

## ქალთა ტანისამოსისა

გვექნება მრავალნაირი ნიმუშები „მაცეიევისა“

## ახალ-ახალ მოდაზე

როგორც საკაბე, ისე საპალტოვე და ყოველნაირი ბაფთები (კრუჟევა) და სხვა მასალა მათდა გასაწყობად.

**მსურველთ ვასწავლით ჭრა-კერვას და ქარგვას.**

სერგიევის ქუჩაზე მირზოევის სახლში № —9 (სოლოლაკი). (50—64—46)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

**ტფილისში**

მუდმივის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა

**მიხეილ აგაჯანოვი**: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.

**ი. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

**გ. ა. ტატევოსოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

**ი. გ. ავეტისოვი**: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

**მ. პ. კიმონტი:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**პ. ა. ზეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი.

**ი. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—6)

## ვერის სამკურნალო

სპეციალისტ ექიმებისა.

ოლგას ქუჩა № 35.

ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე.

**ექ. მაჩუდაგოვი**—ნერვებისა და საელექტრო-წამლობა და ჰიპნოზი. 9—10 ს.

**ექ. მელიქ-ფინათოვი**—ვენერიული, კანისა და საშარდე $9^1/_2$—11 ს.

**ექ. რამენდიკი**—შინაგანი $10^1/_2$—$11^1/_2$ ს.

**ექ. ზაკრჟევსკი**—ქალისა და საბებიო 11—12 საათამდე.

**ექ. ქაჯაზნაზაროვი**—თვალისა 1—2 ს.

**ექ. გიკოსანიძე**—ქირურგიული 12—1 ს.

**ექ. მარცინკევიჩი**—ბავშვისა 12—1 ს.

**ექ. შტრეიხერი**—ყელისა, ყურისა და ცხვირისა 1—2 ს.

**ექ. გამბურგერი**—ქიმ. მიკრ. და ბაქტ. გამოკვლევა შარდისა, სისხლისა, ნახველისა და სხვ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

**სამკურნალოში შეიძლება მაზნაცი.** (100—83)

კბილის ექიმი

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (25—12)

## სამკურნალო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

**ვანქის დიდი ქუჩა,** № 5.

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**ექ. ტ. ი. რუდენკო**— შინაგანი სნეულობანი. ხუთშაბათს და კვირას 3—4 ს.

**ექ. ფ. გ. ჩუდნოვსკი**—ქირურგ. სნეულ. ორშაბ. და პარასკეობით 2—3 ს.

**ექ. მ. ი. იანჩევსკი**—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხშ., პარასკ. და კვირაობით 2—3 ს.

**ექ. მ. გ. ვნუკოვი**—ქირურ. და საშარდე. ორშაბ., ხუთშ., შაბათს და კვირას 2—3 ს.

**ექ. ნ. მ. ახპიზოვი**—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.

**ექ. მ. გ. ბოჟოვსკი** — შინაგანი წამლობა ხოაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.

**ექ. ა. ნ. თეთრაძე**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—2 ს.

**ექ. ა. ი. პავლიცკი.** ქირ. 12—1 ს. ყოველ დღე, კვირაობით 4—5 ს.

**ექ. ა. ა. მონზე**—შინაგანი, ბავშვების, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 ს.

**ექ. ა. ტ. როზმაინსკი**—საბავშვო, ოთხშაბ., შაბათს 11—12, პარასკ. 1—2 ს.

**ექ. ნ. ი. ნეუიმინი**—თვალისა, ორშაბ., სამშაბათს, ოთხშაბ., შაბათს 11—12 ს.

**ექ. ა. ა. ნოვიცკი**—ქალისა და ბავშვისა, ოთხშაბ. და კვირას 12—1, პარასკ. 1—2.

**გ. ი. ნნაეგ.**—შინაგანი 1—2 ს. სამშ., ოთხშ., შაბ., კვირ.; ქალებისათვის—ორშაბ., ხუთშაბ. 1—2 ს., პარასკ. 12—1 ს.

**ექ. ზ. ფ. ნევზოროვა** — კბილისა, ყოველ დღე 11—5.

**ექ. მ. ი. გოროდცევა.** მასსაჟი 11—4 ს.

**ექ. კ. მ. პივარსკი** / **ექ. გ. ი. ჩუდნოვსკი** — კლინიკური ანალიზი.

**ექ. გ. ი. ონოზკო**—საექიმო გიმნასტიკა, მასაჟი, ელექტრიზაცია 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—40)

მედიცინის დოქტორი

## მ. ი. მურადოვი

რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტის კლინიკის ორდინატორად იყო, იღებს საშარდეს, ვენერიულ (სიფილისი) და კანის სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—12 საათ., საღამოთი 5—7 ს. სოლოლაკი, რტიშჩევის ქ., № 1, ცეცხლისმქრობელ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (25—ხალ.—19).

ექიმი

## გ. ნ. მაგაკიანი

იღებს ავადმყოფებს შინაგან და ბავშვებისას. სპეციალური ექიმია **კუჭისა და ნაწლევებისა.** მიღება: დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პროს., № 36, სახ. ჭავჭანიძისა (25—9)

ექიმი

## ა. ნ. დიასამიძე

**კანისა და ვენერიული.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ავლაბრელების

## საყურადღებოდ

**ვისაც უნდა** დააწერინოს არზა, თხოვნა, საჩივარი სასამართლოებში მისართმევად, შვილების სახელმწიფო ხარჯზე სკოლებში მისაღებად; **ვისაც უნდა** სალდათობის საქმეზედ თხოვნის შედგენა; **ვისაც უნდა** საჩივარი ან თხოვნა მისცეს ნამესტნიკს, გუბერნატორს; **ვისაც უნდა** თხოვნა მიართვას ხელმწიფეს ანუ მინისტრებს; **ვისაც უნდა** გაეყაროს მეუღლეს.—**იმათ უნდა მიმართონ** ავლაბარში, ნუხისა და შემახის ქუჩების კუთხეში, საკუთარ სახლში **თ. ზ. ნასიძეს.**

მთხოვნელები მიიღებიან დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე.

**ხელოვანი ზომიერია.** (3—უ.—2)

## სახაზინო თეატრი

ანტრეპრიზა რიზა ორდმტრემისა

ხუთშაბათს, 18 იანვარს 1907 წელს.

შესრულებული იქნება

## ებრაელი ქალი

(ჟ ი დ ო ვ კ ა)

ოპერა, 5 მოქ. გენევისა.

რეჟისორი **პ. ლუნაევსკი.**

დირიჟორი **ა. ბერნარდი,**

დასაწყისი 8 საათზედ.

გამგე **ვ. ლ. ურუშაძე.**

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი

თებერვლიდან გამოვა ყოველ კვირეული ქართული გაზეთი

## „გრდემლი“

გაზეთი იქნება უპარტიო, პროგრესიულ მიმართულებისა. (6—1)

ტფილისი, 18 იანვარი.

«ხმა მღაღადებელი უდაბნოსა შინა»—სწორედ ჩვენ შევიქენით, ადგილობრივი პრესსა! ორი თვეა აგერ ვიწვევთ ქართველ საზოგადოებას, ყურადღება მიაქციოს დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილ ხალხს და ღონე იღონოს დახმარებისათვის, მაგრამ არავინ ყურს არ იბერტყავს! ეს არის უტყუარი ნიშანი ჩვენის უკულტუროებისა, ჩამორჩენისა, დაცემისა. არ გაგონილა, რომ საზოგადოება, რომელსაც განათლებულად მოაქვს თავი, ასე გულგრილად, ასე გულცივად ისმენდეს საზარელ ამბებს და უძრავად იდგეს უბედურების წინაშე...

საზარელი ამბები კი ყოველ დღე მოდის. სამეგრელოსა და გურიაში ნამდვილი შიმშილობა მეფობს. სარჩო აღარ არის, სიმინდის ფასებმა აიწია, ხალხს იმის საყიდლად არაფერი გააჩნია. ამ უბედურებას ზედ დაერთო იშვიათი ზამთარი და გაჭირვებაში ჩავარდნილის ხალხის კვნესა თავზარსა სცემს შემთხვევით მოწმეებსა და გამვლელთ. დახმარება არსაიდან არა სჩანს—არც მთავრობისა, არც საზოგადოებისა, ხალხი ღვთის ანაბარაზეა მიგდებული...

წარსულ კვირაში «ზაკავკაზიე»-მ დაასახელა ტფილისში ახლად დაარსებული საქველ-მოქმედო საზოგადოება და იმედი გამოაცხადა, ეს საზოგადოება იკისრებს დაზარალეულ და დამშეულ ხალხის დახმარებასაო. მაგრამ ეს შეუძლებელია. როგორც გვითხრეს, ამ საზოგადოებას, 1905 წლის 4 მარტის კანონით, მოქმედების ნება მხოლოდ ერთს—ტფილისის—გუბერნიაში მისცეს; ესეც რომ არ იყოს, ტფ. საქველმოქმედო საზოგადოებას აქაც, ადგილობრივაც, ბევრი საქმე აქვს და დასავლეთ საქართველოს ვერ გასწვდება. გორისა და დუშეთისა მაზრებშიაც დიდი გაჭირვებაა; ნამეტურ დუშეთის მაზრიდან მოდის უნუგეშო ამბები. ისედაც წელში გაწყვეტილ ხალხს ორმოცდა ათი ათას მანეთზე მეტი სახაზინო და საერობო გადასახად-ნედოიმკები გადაახდევინეს გასულ წლის განმავლობაში და ხალხი დაეცა, დამშივდა. ახლა კიდევ თავად-აზნაურთა პრეტენზიების გასასტუმრებლად ქართლში განაგრძნობენ ღალების აკრეფას... დამშეულს ხალხში უკვე სხვა და სხვა სენმა იჩინა თავი: დუშეთის მაზრაში, მაგალითად, სახადი მძინვარებს. თუ ამ გაჭირვებას უშველა ცოტა ახლად დაარსებულმა ტფილისის საზოგადოებამ, ისიც საკმარისი იქნება იმ საშუალებათა და ძალების მიხედვით, რომელიც მას აქვს. «საზოგადოება», როგორც გავიგეთ, სულ მოკლე ხანში საბოლოოდ შესდგება, კრებას მოიწვევს და კიდეც შეუდგება საქმეს აღმოსავლეთ საქართველოში.

თავის დროზე ამ «საზოგადოების» მონაწილენი მიუმართავთ კიდეც ქუთაისის საზოგადოებისათვის, უცნობებიათ საქმის გარემოებანი, შეკრებილ ფონდიდან ნახევარი კიდეც გადაუდვიათ მომავალ ქუთაისის საქველ-მოქმედო საზოგადოებისათვის, მაგრამ დრო მიდის და რაიმე ორგანიზაციის შემქნელი არა სჩანს. ჩვენს რედაქციაში 100 მანეთამდე კიდეც შემოვიდა შემოწირულება განსაკუთრებით მეგრელებისათვის; მაგრამ ვის გადავცეთ? ვის მივმართოთ, რომ ეს ორიოდე გროში მაინც მიაწოდონ დამშეულსა და დასნეულს ხალხს, სულთმობრძავ ბავშვებსა და ქალებს?!.

არ გვეპატიება ასეთი გულსაკლავი ინდიფერენტიზმი, არ გვეპატიება ასეთი გულგრილობა, როცა ჩვენი მოძმენი მშიერნი არიან და დროებით მათი შველადახმარება საჭირო და შესაძლებელიც არის. როდემდის გაგრძელდება ასეთი უყურადღებობა? გაანძრევს თუ არა ხელს ჩვენი საზოგადოება, თუ საბოლოოდ ჰსურს დაიმსახუროს სახელი უკულტურო და გათახსირებულ საზოგადოებისა?!.

## არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში

### ჩ ვ ე ნ შ ი

**ქუთაისი.** ქუთაისში გამოქვეყნებულია ორი სია ამომრჩეველთა კანდიდატებისა. ერთში დასახელებულნი არიან: გიორგი ზდანოვიჩი, მოსე ქიქოძე, რაჟდენ დათეშიძე და იოსებ გობეჩია. მეორეში: ბუდუ მდივანი, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ნიკო მაჭავარიანი და კაკი წერეთელი.

წვრილ მემამულეთა კრება ზუგდიდის მაზრაში 13 იანვარს უგზო-უკვლობის გამო არ შესდგა და **ხელ-მეორედ დანიშნეს 16 იანვრისათვის.**

ამ გვარადვე რაჭის მაზრის წვრილ მემამულეთა კრება ხელმეორედ გადაიდო **16 იანვრისათვის.**

წვრილ მემამულეთა კრება ბაღდადში 13 იანვარს არ შესდგა კრების თავმჯდომარის გამოუცხადებლობის გამო და **გადაიდო 16 იანვრისათვის.**

ქიათურის საბოქაულოში ათის თავების ყრილობა რამდენისამე საზოგადოებაში უგზო-უკვლობის გამო არ შესდგა 13 იანვარს და **გადაიდო 18 იანვრისათვის.**

ქუთაისის მაზრაში ზოგიერთ სოფლის საზოგადოებაში ათისთავების გამოუცხადებლობისა გამო ყრილობა რწმუნებულების ასარჩევად არ შესდგა და განკარგულებაა გაცემული, რომ 18 იანვრისათვის მოახდინონ არჩევანი.

ნაოდალევში წვრილ მემამულეთ აურჩევიათ სულ სამი კაცი; აქედან შეკითხველი დასკვნის, რა მრავალ რიცხოვანი ყოფილა ეს კრება.

**სოფ. ახალ-ქალაქი** (გორის მაზრა). 13 იანვრისათვის სოფ. ახალ-ქალაქში დანიშნული იყო კრება წვრილ მემამულეთა რწმუნებულების ასარჩევად. აურებელი ხალხი შეიკრიბა. ამ კრებაზე თავი იჩინეს სოციალ-დემოკრატებმა. დიდი ხანია ვიცით, რომ ისინი მოწინააღმდეგეთა გასაშავებლად არ ერიდებიან უპატიოსნო საშუალებას, მაგრამ ჩვეულებრივ დროს კიდევ ახერხებდნენ ზრდილობიანად და პატიოსნების ქურქში გახვეული თავის მართლებას და მთელ ბოროტებას გლეხების შეუგნებლობით ხსნიდნენ. დიახ, ასე იყო აქამდის, სანამ თავიანთ ბატონობას უზრუნველ-ყოფილად სთვლიდნენ, დღეს კი, როდესაც საძირკველი შეერყათ და მათ საბრძანებელში თავისუფალი მოაზრენი გაჩნდნენ, სულ სხვა სურათს ვხედავთ. მართლაც, რა დროს პარტიულ ეთიკაზე ლაპარაკი, როდესაც მათ თვითმპყრობელობას საფრთხე მოელის? იგრძნეს ეს საფრთხე და გადასწყვიტეს ერთხელ და სამუდამოდ გაეწმინდათ თავიანთი საბრძანებელი ურჩებისაგან. ამიტომაც გამართეს იმ დღეს მათ ს.-ფედერალისტებზედ დახელოვნებული ნადირობა. ამისათვის მიმართეს ყოველგვარ, პოლიტიკანებისაგან ძველ დროდანვე მოწონებულ, საშუალებას. თუ აქამდის მალულად ავრცელებდნენ ათასაგვარ ცილისწამებას ხალხში ს.-ფედერალისტებზე, დღეს მთელი თავიანთი ძალა მოიკრიბეს და ხმა მაღლა გაჰკიოდნენ: ფედერალისტები მდიდრების პარტიაა, ისინი მოსყიდულები არიან, ჩვენ ისინი ქრთამს გვპირდებიან, თვეში ოც-და-ხუთს მანეთს გვაძლევენ, რომ მიგვიმხრონ თქვენს მოსატყუებლადაო. რისთვის დაგპირდათ, ბატონო სოციალისტებო, ეს სისაძაგლე? რაღა თქმა უნდა, ტანჯვით დაბეჩავებულ, გულ-წრფელ გლეხების მოსატყუებლად, თვალების ასახვევად და ერთის ნაწილის მეორეზე ასამხედრებლად. სირცხვილი, სირცხვილი თქვენ, ხალხის ვითომდა კეთილ-დღეობისათვის მებრძოლნო! თქვენ მშვენივრათ მიაღწიეთ მიზანს. ამ დღეს სწორედ მოსახერხებელი იყო თქვენი გამოლაშქრება ს.-ფედერალისტების ხალხში დასამცირებლად.

დაინახავდით თუ არა ს.- ფედერალისტს, ყოველ მხრიდან მიესეოდით, ყოველი თქვენგანი სცდილობდა, რაც შეიძლება მეტი შეურაცხყოფაც მიეყენებინა მისთვის; შეუძლებელია იმისი დაწერა, რაც იქა ხდებოდა. დაიჭერდნენ თუ არა ს—ფ. გლეხს, შემოესეოდნენ ირგვლივ, აფურთხებდნენ, უშვერის სიტყვით აგინებდნენ და ეუბნებოდნენ: შენ თუ კაი კაცი ხარ რატო ჩვენი ძმა არა ხარ, მოგისყიდეს, თორემ რა ნახე მათში კარგიო; მაგრამ ესეც არ აკმარეს და სიტყვიდან საქმეზედ გადავიდნენ. უმოწყალოდ სტანჯავდნენ სანამ როგორმე არ

გაუსხლტებოდა ხელიდან. ასეთი იყო ს.-დ-ის ველური ნადირობა. სიმართლე უნდა სთქვას კაცმა, რომ ბევრი შრომა დავიხარჯეთ ამ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში. თამამად შეგიძლიანთ იმაყოთ თქვენის მოღვაწეობით. შეიძლება ვინმე მოატყუოთ და სთქვათ, დიდი-ხანია გლეხებში სიძულვილი იყო და მხოლოდ დღეს იჩინა თავი საერთო კრებაზედო, მაგრამ ეს ხომ უსირცხვილო ტყუილი იქნება. გლეხობას ამ დღეს ს—ფ. პირველად არ დაუნახავად, მიუხედავად თქვენის ს—ფ. ლოცვა-კურთხევისა, გლეხები ყოველ-თვის მეგობრულად ეპყრობოდნენ და გულ-მოდგინეთ უსმენდნენ ს—ფ; თუ როგორმე ეს უკანასკნელი თავს დაახწევდნენ თქვენგან სოფელში ჩაყენებულს პოლიციელს. არ გვახსოვს, რომ რომელიმე გლეხს შეურაცყოფა მიეყენებიოს თუ გინდ ერთი სიტყვით ფედერალისტისათვის ახლო მახლო სოფლებში. რომ ხალხის აღელვება წინდაწინვე იყო მომზადებული, ეს იქიდანაც სჩანს, რომ თქვენი „ერთგული მეგობარი და ს.-დემოკრატი“ ერთი ადგილობრივი თავადი წინ და წინვე აფრთხილებდა მოსულ ქალებს, კრებას არ დასწრებოდნენ. ეს ვაჟ-ბატონი უკანასკნელ როლსაც არ თამაშობდა ხალხის ამხედრებაში.

ს—დ. ცილისწამება ფედერალისტებზედ სამედიატორო სასამართლომ გაარჩია. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს განაჩენი კარგად იცოდა ბ-ნმა თავადმა, მან შესაძლოდ სცნო გამოეცხადებინა შეკრებილ ხალხისათვის: დამტკიცდა, ფედერალისტს ქრთამი უძლევიაო. ეჰ, ბრწყინვალე თავადო თქვენივე სვინდისი იყოს თქვენი სამჯული. აქ მეტს არაფერს გეტყვით, მოგაგონებთ მხოლოდ ქართულ ანდაზას: დაღმართში ფეხი ნუ დაგიცდება, თორემ თუ დაგორდი, ძირამდის ჩაგორდებიო. ამგვარია ჩვენი ს-დ. მოღვაწეობა დღეს სოფლად. ს-დ. ებრძვიან პოლიციის ძალდატანებას და იმავე დროს აყენებენ თავიანთ პოლიციელებს; თხოულობენ სიტყვის, კრების და რწმენის თავისუფლებას და თვითონვე-კი უსპობენ სხვებს ამ თავისუფლებას. ამ შეცდომაზედ, რომ მათ მიუთითებთ, ისინი გვეტყვიან: ხალხი ჯერ შეუგნებელია, კარგის და ცუდის გარჩევა არ შეუძლიან და ამიტომ უნდა დავიფაროთ მავნე აზრებისაგან, მაგრამ თუ ეს მართალია, ხომ დღევანდელი მართველობაც მართალი ყოფილა? ისინი ჰკიცხავენ „მავნე პირების“ მოღვაწეობას, შეუგნებელ ხალხის მოტყუება უნდაო. განსხვავება ეხლანდელ მართველობასა და ჩვენს ს-დ-ს შორის მარტო ის არის, რომ რასაც ეხლანდელი მმართველობა გაბედულად და აშკარად სჩადის, ს—დ ამასვე ჩუმათ სჩადიან. ყოველი ეს გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ს-დ. ეხლანდელ წეს-წყობილებას კი არ ებრძვიან, არამედ მმართველობას მეტოქეობენ.

კრების თავჯდომარის მოუხერხებლობის გამო არჩევნები გადაიდო ცხრამეტ იანვრისთვის.

დასასრულ, როგორც ზევით ვსთქვი, სოც-დ. ცილისწამება ს-ფ-ზე. ვითომ ამ უკანასკნელს ქრთამი ეძლიოს ს.-დემოკრატებისთვის, სამედიატორო სასამართლომ გაარჩია. ვთხოვთ მედიატორებს, განაჩენი გამოაქვეყნონ გაზეთის საშუალებით.

**დამსწრე.**

## რუსეთში

**პეტერბურგი.** გლეხებს, მუშებს და მემამულეთ 12, 13, 14 და 15 იანვარს მთელ რუსეთში აურჩევიათ 4,982 რწმუნებული. იმათგან 1761 მონარქისტი და მათი თანამოაზრეა, 1956 ზომიერი, დანარჩენებიდან კადეტი 65 ია. 2212 მემამულე რწმუნებულთაგან 1036 მღვდელია.

მთელ პოდოლის გუბერნიაში დამთავრდა გლეხთა პირველ ხარისხის არჩევნები. აარჩიეს 306 რწმუნებული, იმათგან 80 მონარქისტი და მათი თანამოაზრეა, 221 ზომიერი; დეპუტატად ნამყოფი რომანიუკი და ბეი გაამვეს.

მოსკოვის გუბერნიაში 330 რწმუნებულთაგან 107 მონარქისტია და 176 ზომიერი.

ცარსკოე სელოს მაზრაში 30 რწმუნებული აარჩიეს, იმათგან 18 ზომიერია.

მინსკის გუბერნიის წვრილ მემამულეთაგან 558 კაცი აარჩიეს, იმათგან 104 მონარქისტია და 454 ზომიერი. წვრილ მემამულე პოლონელებმა არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღეს, რომ რწმუნებულთა უმრავლესობა მსხვილ მემამულე პოლონელებისათვის დაენარჩუნებინათ.

პოდოლის გუბერნიის სამაზრო კრებებზე აარჩიეს 383, იმათგან 24 მონარქისტია და 340 ზომიერი.

სიბირსკის გუბერნიის სიზრანის მაზრაში აარჩიეს 16, იმათგან 7 ზომიერია. პოდოლის გუბერნიის უშიტსკის მაზრაში აარჩიეს 6, ყველანი ზომიერები არიან. ქალაქ ყაზანის 20 ქარხანაში არჩევნები არ შესდგა, შესდგა 15 ფაბრიკა-ქარხანაში, აარჩიეს 15, იმათგან 3 მონარქისტია 6 ზომიერი.

ტამბოვის გუბერნიაში აარჩიეს 564 რწმუნებული, იმათგან 488 ზომიერია. მუშებმა აარჩიეს 34, იმათგან 1 მონარქისტია და 21 ზომიერი.

## ახალი ამბავი

✦ **გაფიცვა ბაქოში.** ბაქოში, როგორც სააგენტოს დეპეშებიდან სჩანს, ნავთის საწარმოვო ადგილებს გაფიცვა მოედო. ბიბი-ეიბათში რუნოს საწარმოვოში 150 მუშა გაიფიცა. თხოულობენ 1906 წლის საჩუქარს, წლიურ ქირის 30%-ს, ორი თვით დასვენებას ჯამაგირის შენარჩუნებით, ავადმყოფობის დროს სრულ ჯამაგირს, მაჰმადიანთათვის ცალკე აბანოს. კანტორამ გამოაცხადა, რომ საჩუქრის მომატება საზოგადო კრებაზეა დამოკიდებულიო. საზოგადო კრება მაისში მოხდება. კანტორას შეუძლიან მხოლოდ წლიურ ჯამაგირის 8% გასცეს. ორის თვით დასვენება კანტორამ უარჰყო. ავადმყოფობის დროის ჯამაგირის მიცემის შესახებ კანტორამ განაცხადა, რომ ავადმყოფობის დროს, როცა იგი შედეგი იყო დაშავებისა, წინედაც სრულ ჯამაგირს იძლეოდა და ყოველ გვარ ავათმყოფობის დროს სრულ ჯამაგირის მიცემას კანტორა ვერ იკისრებსო. კანტორა თანახმაა მაჰმადიანთათვის აბანო ცალკე მოაწყოს. მირზოევის, ბაქოს ნავთის საზოგადოების, კავკასიის ამხანაგობის და ვოლჟკო-კასპიის საზოგადოების სამრეწველოების მუშებმაც რუნოს მუშების მსგავსი მოთხოვნილებანი წარადგინეს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საჩუქარს ზოგი 20% და ზოგიც, როგორც მოსკოვო-კავკასიის საზოგადოების მუშები, 80% თხოულობენ. დღემდის 7000 მუშაა გაფიცული, ე. ი. დაახლოვებით 22%. მრეწველები ცალ-ცალკე მოქმედებენ და რა და რა მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ, ერთმანეთს არ უმხელენ.

✦ **გადასახლება.** ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით ასტრახანის გუბერნიაში იგზავნებიან: ხუთის წლით—რევოლვერის ტარებისათვის ტფილისის მცხოვრები ზაქარია ზურაბიშვილი, სამხედრო წესების მოხსნამდე—ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები ნიკო ჯაფარიძე. ამას წინად შეიპყრეს ტობოლის გუბერნიიდან გამოქცეული ადმინისტრატიული ტუსაღი რაჭის მაზრის ზემო-კვიხის მცხოვრები რაჟდენ ისაკაძე. ეხლა ისაკაძეს ეტაპით ჰგზავნიან უკანვე ტობოლის გუბერნიაში. ეტაპით ტფილისის საგენერალ-გუბერნატოროდან ჰგზავნიან ზაქარია ზანუკიძეს.

✦ **პატენტების აღების ვადა.** ტფ. გენ.-გუბერნატორმა ტფილისელ ვაჭრებს პატენტების ასაღებ ვადად დაუნიშნა პირველი თებერვალი. იმას, ვინც ამ დროსთვის პატენტს არ აიღებს, ვაჭრობას აუკრძალავენ.

✦ **დაჯარიმება.** ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, 500 მანეთით დაჯარიმებულ იქმნენ დაბა სურამის ებრაელი მცხოვრებნი. იმათ აბრალებენ დამნაშავეთა დამალვას.

✦ **სპარსეთიდან ჩამოსულ ქართველების შესახებ.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, ონიკაშვილისა და ხუციშვილისათვის დაიქირაოს ბინა, გადასდოს მათ სახარჯოდ საჭირო ფული და მიუჩინოს მასწავლებლები. ლაპარაკი იყო აგრეთვე სპარსეთში წერა-კითხვის სკოლისა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების შესახებ. გამგეობაა დაადგინა ამაზე შემდეგ იქონიონ მსჯელობა და ამასთან შეჰკრიბოს საჭირო ცნობებიც იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა ამ განზრახვის განხორციელება.

✦ **წარმოდგენა.** როგორც გავიგეთ, აზრათა აქვთ ამ ცოტა ხანში გამართონ ქართული წარმოდგენა სპარსეთიდან ჩამოსულ ქართველების სასარგებლოდ. შემოსავლის ნახევარი გადაეცემა წერა-კითხვის საზოგადოებას.

✦ **შეპყრობილის მოკვლა.** ამას წინად ქართლში, სოფ. ხოვლეში სალდათებს დაუპატიმრებიათ ადგილობრივი მცხოვრები ქიტესა ჯანაშვილი. იგი გორში წაუყვანიათ, მაგრამ გზაზე მოუკლავთ. სალდათებმა განაცხადეს, ჯანაშვილმა გაქცევა დააპირა და იმიტომ მოვკალითო.

✦ **დაპატიმრებულის განთავისუფლება.** გუშინ ვწერდით, რომ ნიკოლოზ ხუდადოვის დაჭრის დროს დააპატიმრეს ტელეგრაფისტი მალჩანოვიო. მალჩანოვი იმავე დღეს გაანთავისუფლეს.

✦ ახალი წიგნები რედაქციამ მიიღო ბაქოს წიგნების გამომცემ ამხანაგობის „კადმის“ შემდეგი ახალი გამოცემანი; 1. „ზღვაზრი წელის შესახებ“, ე. ბელდამისა, თარ. დადვაძის მიერ ფასი 4 კ. 2. „ოლქობრივი თვით-მმართველობა“, ნ. კაბანოვისა, თარგ. რ. ხირსელისა, ფ. 3 კ. 3. „მიწის კანონმდებლობა ახალ-ზელანდიაში“, ნ. კაბანოვისა, თარგ. მ. ახა—ლის; ფ. 4 კაპ. 4. „როგორ მოიპოვა საფრანგეთის ხალხმა მიწა და თავისუფლება“, ფ. ნაუმოვისა, თარგ. გ. ახალციხელისა; ფას. 4 კაპ. 5. „ნაციონალური ავტონომია და მსოფლიო ფედერაცია“, გ. ბოსსისა, თარგ. სიტყვასი ფ. 6 კაპ., ამას გარდა, მოგვივიდა შემდეგი წიგნები: „მუშათა მოძრაობა საფრანგეთში 1789 წლამდე (დიდ რევოლიუციამდე)“, Baton-ის (სანგალა). გამოცემა თემისა, ფ. 20 კ. სომხური გამოცემანი: „იავნანამ რა ჰქმნა“, ქართულიდან თარგმანი ე. კ.—სა; ფ. 10 კაპ. და „ეროვნული საკითხი—ავტონომია და ფედერაცია“, ნოვატორსკისა, გამოცემა „არაზ“-ის ბიბლიოთეკისა; ფ. 7 კ.

✦ ქალაქის რკინის გზის მუთვალ-ყურე კომისიამ დაადგინა, სთხოვოს უსახელო საზოგადოების დირექციას, ტრამვაის ვაგონებში მიაკრას შემდეგი განცხადება: „ქალაქის გამგეობა სთხოვს მგზავრებს, ნებას ნუ მისცემენ ბავშვებს, უბედურების თავიდან ასაცილებლად, ვაგონებზე სტებოდნენ და საფეხურებზე დგებოდნენ.“

## ქუთაისის ქრონიკა

✦ 14 იანვარს პრივატ-დოცენტმა ი. ა. ჯავახიშვილმა ქუთაისის კლუბის დარბაზში წაიკითხა თავისი ლექცია: „ეკონომიური ისტორია საქართველოსი უძველეს დროიდან მეკამეტე საუკუნემდე ქრისტეს შობის შემდეგ“. ლექციის შინაარსი უკვე გაცნობილი აქვთ მკითხველებს. აღვნიშნავთ იმას, რომ ლექციას მრავალი ხალხი მოაწყდა, დარბაზი მთლად გაიჭედა და ბევრი უადგილობისაგამო უკან დაბრუნდა. ლექცია შეკრებილმა საზოგადოებამ დიდის ყურადღებითა და გულდასმით მოისმინა და დასასრულ ახალგაზდა მეცნიერი ტაშის ცემით დააჯილდოვა. ბ-ნ ჯავახიშვილის ლექციამ აქაც და ტფილისშიაც თვალსაჩინო გაჰხადა ის გარემოება, რომ ჩვენ საზოგადოებაში მომწიფებული ლექციების—სმენის სურვილი და [illegible] ჩვენი [illegible]მამულე მეცნიერები, რომ ამას შესაფერ ყურადღებას მიაქცევდნენ და საზოგადოების მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდნენ ლექციების კითხვით ქართულ ენაზე. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მსმენელთა რიცხვი ბ-ნ ჯავახიშვილის ლექციაზე ბევრად ნაკლები იქნებოდა, რომ იგი ქართულს ენაზე არ წაკითხულიყო.

✦ 14 იანვარს ბანკის მოსამსახურენი შეიკრიბნენ საპენსიო კასის გამგეობის ასარჩევად. წევრებად აირჩიეს მდივანი ბანკისა დავით წულუკიძე და ბუხჰალტერი ონისიმე სვანიძე. თავმჯდომარედ ინიშნება ერთ-ერთი წევრი გამგეობისა უკანასკნელის გამორჩევით. გამგეობას დაუსახელებია ივანე ჯაიანი.

✦ ქუთაისის რეალურ სასწავლებელთან დაარსდა მშობელთა წრე. წრის საქმეებს განაგებენ: მშობელთა კრება თითოეულ კლასში ცალკე, მშობლების მიერ ამორჩეულ დელეგატების საზოგადო კრება, და პედაგოგიურ საბჭოში დასასწრებლად ამორჩეული წრის წარმომადგენელნი და თვით წრის საბჭო. მშობელთა წრე უკვე შესდგა შემდეგ პირთაგან: თავმჯდომარე—ილია მათიკაშვილი, წევრები: სტ. გაგუა, ვარლ. გოცირიძე, ბეს. გაბადაძე, სიმ. ფრანგულიანცი, ივ. ზისერმანი, იოსებ ქიქოძე, იუსტ. კანდელაკი, იოსებ ვოლოხი, ვას. გრინევი, და მარ. გერმევსკაია. წრის მდივნად და ხაზინადრათ არჩეულ იქნა თეოფ. ხუსკივაძე.

✦ გენერალ-გუბერნატორის დადგენილებით, ვიატკის გუბერნიაში იგზავნებიან შემდეგი პირნი: ნ. ბზევალავა, ნ. კილოშვილი, ადამია, მერკვილაშვილი კვანტრიშვილი და ენუკიძე.

✦ სოფელი ზუბი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა დააჯარიმა 200 მანეთით იმისთვის, რომ მცხოვრებლებმა ნება მისცეს აგიტატორებს მთავრობის წინაამდეგი აგიტაცია გაეწიათ.

✦ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა 100 მეტი სახლის პატრონი დააჯარიმა ქუთაისში 20 მანეთით ან ორი კვირით დაპატიმრებით იმიტომ, რომ მათ არ შეუსრულებიათ სავალდებულო დადგენილება და არ შეუძენიათ ფარნები სახლის პატრონის სახელისა და ქუჩის წოდების აღნიშვნით.

✦ შარშან რეპრესიების დროს ცეცხლისაგან დაზარალებულთ დამზღვევ საზოგადოებათაგან პრემია რომ არ მიუღიათ, საჩივარი აღუძრავთ და უჩვენებ(?) მათკანს სასამართლოში წარუდგენია მოწმობები მთავრობისა და სამხედრო უწყების კაცთაგან მოცემული, რომ ცეცხლის გაჩენის დროს არავითარი მოძრაობა ხალხისა

## ფელეტონი

### რათა, რისთვის?

**ნაცნობის ნაამბობი**

(რუსულიდან)

ეს ამბავი ორი წლის წინად მოხდა,— ასე დაიწყო ჩემმა ნაცნობმა:—მე სათადარიგო ჯარის-კაცად ვირიცხებოდი, როცა რუსეთმა იაპონიას ომი გამოუცხადა, ჯარში მეც გამიწვიეს. ეს ამბავი გავიგე დილით, ჩემს ცოლს კი ვუთხარი საღამოთი, როცა მუშაობიდან სახლში დავბრუნდი მან ისე შემომხედა, თითქოს ვერ გაიგო, რას ვეუბნებოდი, მაგრამ უცებ შეშფოთდა, გაფითრდა და ისტერიკა მოუვიდა. როცა გონს მოვიდა, დამშვიდება დავუწყე.

— გამიგონე! მითხრა მან ცრემლების ღაპა-ღუპით:—თუ გიყვარვარ, თუ შენი ორი ბავშვი გებრალება, გავიქცეთ საზღვარ-გარედ!.. მე ვერ ავიტან ამას.

— ნუ ტირი, ძვირფასო!—ვევედრებოდი მე:—მოვალეობა სამშობლოს წინაშე უპირველესი საქმეა. მე პიწვევენ იქ, სადაც იღვრება ჩვენი ძმების სისხლი. მაშასადამე, მეც უნდა წავიდე. მე არ მინდა გავიქცე, გავიპარო, როგორც მშიშარა და ლაჩარი. ჩვენ, ებრაელებს, ისედაც გვდევნიან, თვითეულ ჩვენ მოძრაობაში რაღაც ბოროტ განძრახვას ჰხედავენ... არა, ჩემო ძვირფასო, სწორედ ეხლა დადგა წამი, დაუმტკიცოთ მთელ ქვეყანას, რომ ჩვენც კანონიერი შვილები ვართ რუსეთისა, კანონიერი წევრნი საზოგადოებისა! ჩვენც ვიცით, როგორ უნდა მტრის წინაამდეგ ბრძოლა და ჭეშმარიტებისათვის სიკვდილი! დიე, სხვებთან ერთად ჩვენც გავიყოთ ომის ბედ-იღბალი, გავიყოთ ყოველივე უბედურება და ამით დავუმტკიცოთ რუსეთის მთავრობას, რომ ტყუილად გვდევნის, უსამართლოდ გვექცევა, როცა განსაკუთრებულ მდგომარეობაში გვაყენებს ექვს მილიონ ხალხს. გაიგებენ თავიანთ შეცდომას და ეს მუქარა და საშინელი წარსული დაჰკარგავს მნიშვნელობას; მოისპობა ხალხთა შორის უსამართლო ეროვნული სიძულვილი და დევნა...

ასე ვეუბნებოდი ცოლს, თუმცა ცრემლები მეც ღვარივით მომდიოდა.

მეორე დღეს გამოვცხადდი იქ, სადაც სხვები ცხადდებიან გასასინჯად. იმავე დღეს ვარგისად მიცნეს. დავიწყე მზადება ომში წასასვლელად.

არ მახსოვს—განაგრძო ჩემმა ნაცნობმა:—როგორ გამოვეთხოვე ჩემს ძვირფას ცოლს და პაწია საყვარელ შვილებს, მაგრამ ჩემს სიცოცხლეში კი არ დამავიწყდება ჩემი ცოლის მაშინდელი გამომეტყველება. იმას მეტი წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, მაგრამ ცხადი იყო, დიდ ტანჯვას განიცდიდა. ვეღარ ვიცანი. ასე მეგონა, ჩემს წინ მარტო მისი აჩრდილიღა იდგა: ლოყები გაჰფითრებოდა, შავი ფართო თვალები, რომლებიც ისე მიყვარდა, ცრემლებით ავსებოდა.

საათს დავხედე, წასვლის დრო იყო. აღშფოთებულმა დავკოცნე ცოლშვილი და ჩქარის ნაბიჯით ოთახიდან გავარდი...

წავედი...

ღმერთო ჩემო! როგორ ვფიქრებდი, როგორ წარმოვიდგენდი მაშინ, როცა საყვარელ ცოლ-შვილს ვეთხოვებოდი და გულში ვიკრავდი, რომ მათ უდანაშაულოდ დამიხოცავდნენ... ასე უმოწყალოდ, ასე შეუბრალებლათ, უღმერთოთ...

ჩემმა ნაცნობმა წყალი დალია, შეისვენა და კვლავ განაგრძო:

მაშინ ცხარე ომი იყო. ჩვენ თავგანწირულად ვიბრძოდით. ერთ სისხლის მღვრელ შებრძოლების დროს მძიმეთ დამჭრეს თავში, რისთვისაც საავადმყოფოში დამაწვინეს. ვფიქრობდი, მორჩენისას ისევ ომში დავბრუნებულიყავ, მაგრამ სანამ მოვრჩებოდი, დიდი დრო გავიდა და ზავის ჩამოგდებაზე მოლაპარაკება გაიმართა.

ომის შეწყვეტის შემდეგ სხვებთან ერთან პირველის მატარებლით მომიხდა სახლში დაბრუნება. მანჯურიიდან გამოვედი სექტემბრის პირველ რიცხვებში. გამოანგარიშებული მქონდა: დეკემბრის ბოლო რიცხვებში სახლში უნდა ვყოფილიყავ. ვნახავდი ჩემს ცოლ-შვილს, რომელიც ისე გაგიჟებით მიყვარდა.

ვთვლიდი საათებს, წუთებს, წამებს; მატარებელი-კი კუს ნაბიჯით მიდიოდაწინ.

სამშობლო ქალაქს მიუახლოვდი, როცა გავიგე, რომ იქ ებრაელთა აკლება-აწიოკება იყო.

ღმერთო, რატომ არ გავგიჟდი მაშინ, აღარ ვიცოდი, რა მექნა! მეტის სიმწარისა და აღშფოთებისაგან ვაგონში აქეთ-იქით ვხეთქებოდი, დეპეშას დეპეშაზე ვგზავნიდი სახლში. მატარებელი კი, თითქოს ჩემი ჯავრი სჭირდა, ნელ-ნელა მიიზლაზნებოდა. რამდენჯერ ვინატრე: ნეტავი ფრთები მქონდეს მეთქი.

ოჰ, რომ იცოდეთ—განაგრძო მან: რას ნიშნავს მატარებელში ლოდინი, მეტადრე მაშინ, როცა შენი ცოლ-შვილი განსაცდელშია, როდესაც ყოველ წუთს შენ მახლობელთ სიკვდილი მოელით. დავწყევლე მაშინ რკინის გზა, დავწყევლე ტელეგრაფი, დავწყევლე ყველაფერი, ყველაფერი... მგონი ჩემი თავიც კი... ბოლოს მეც მივედი.

ღმერთო, რა ვნახე მაშინ!..

მაგრამ არა, მაპატიეთ, მაშინ არაფერიც არ მინახავს, მხოლოდ გავიგონე, რასაც მომითხრობდნენ მეზობლები; ესენი რაღაც განგებას გადაერჩინა სიკვდილისგან.

მიამბეს, როგორ აწამეს ჩემი საყვარელი ცოლი... როგორ ნაკუწ-ნაკუწად აქციეს ჩემი საყვარელი პაწია შვილები...

რა მოხდა შემდეგ, აღარ მახსოვს. მახსოვს, სადღაც წაიღეს მერე კი ხშირად ვხედავდი ჩემთან ერთ მოხუცს. იგი საავადმყოფოს ექიმი იყო.

ორ თვეს ვიწექი საავადმყოფოში. როცა გამოვედი და სარკეში ჩავიხედე, ჩემი თავი ვეღარ ვიცანი: სულერთიანად გავთეთრებულიყავ.

იცით?—მეუბნებოდა ის ძეწუხებულის ხმით—მე 30 წლისა ვარ და უკვე მოვხუცდი...

ოჰ, რომ იცოდეთ.— განაგრძო მან:— რა საშინელებაა, დაჰკარგო ერთ დღეს საყვარელი ცოლ-შვილი, რომლის ნახვასაც ისეთის აღტაცებით, ისეთის სიხარულით მოელოდდე!

მას შემდეგ აგერ ორ წელიწადი გავიდა. ახალგაზდა ვიყავ, მრწამდა კარგი, კეთილი, წმიდა მომავალი; მწამდა თანასწორობა, ძმობა. ვიდექი ბრძოლის ველზე, მტრის ტყვიისათვის გვერდი მქონდა მიშვერილი, ყოველ წუთს მზად ვიყავ სიკვდილისათვის. როგორ ვიფიქრებდი, რომ ასე საშინლად, ასე სასტიკად მოვსტყუვდებოდი?!

ჩემმა ნაცნობმა გაათავა. ცრემლები ღაპა-ღუპით გადმოსდიოდა...

დავბრუნდი სახლში. ქალაქის იმ უმთავრეს ქუჩაზე გავიარე, სადაც უთვალავი ხალხი ირეოდა. ვცდილობდი, ამომეკითხა იმათ სახეზე ის გრძნობა, რომელიც იმ წამში მაღელვებდა. მაგრამ ამაოდ: სიმაძღრისა და კმაყოფილების მეტი იმათ სახეზე ვერაფერი ამოვიკითხე.

მოვიგონე ამბავი ჩემის ნაცნობისა. თვითეული იმისი სიტყვა ყურში საშინლად ჩამძახოდა თვალწინ მეხატებოდა საშინელი, შემაძრწუნებელი სურათი, და ჩემთვის ვფიქრობდი: მერე რათა, რისთვის?!

**ს. თავართქილაძე.**

არა ყოფილა. მოგაგონებთ მკითხველთ, რომ დამზღვევი საზოგადოებანი პრემიის გაუღებლობას იმით ასაბუთებენ, რომ ვითომ ცეცხლის გაჩენის დროს ხალხის მოძრაობა და აჯანყება ყოფილიყოს. ერთ დაზარალებულთაგანს იმის დასამტკიცებლად, რომ ქუთაისში ცეცხლის გაჩენის დროს არავითარი აჯანყება და მოძრაობა არ იყო, მოწმედ დაუსახელებია ქუთაისის გუბერნატორად ნამყოფი ვ. ა. სტაროსელსკი.

# პატარა ფელეტონი

## გვარისა მოგვდგამს.

(პარალელი)

„რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩვენს ხალხს პირველი ადგილი უჭირავს!“ ერთი წელიწადია ამ სიტყვებით ყურები გამოგვიჭედეს. ისე ვიქადით, თითქო პირველობა ქართველ ხალხს პირველად ღირსებოდეს. ახლა თუ წინა ვართ, უწინ როდის ვიყავით ჩამორჩენილნი? სხვის საქმეში, მეტადრე თუ ეკალია მოსაკრეფი, ჩვენ მუდამ პირველნი ვართ.

როცა სპარსეთის ვარსკვლავი აღმოსავლეთის ცას აშუქებდა, ვინ იყო მისი ბედის მესვეური, თუ არა ჩვენ? ვინ იყვნენ ყაენის ტახტის მცველნი, კარის კაცნი, სარდლები და მსახურნი, თუ არ ჩვენი ბატონიშვილები და დიდებულნი? ვინ იყო ის თორმეტი ათასი რჩეული მეომარი, რომელნიც წინ უძღოდნენ ყაენის ლაშქარს და ებრძოდნენ ოსმალეთს, ავღანს, ინდოეთს?—ისევ საქართველოს შვილები.

ჩვენ ვიყავით მაშინ პირველნი და ამ პირველობისათვის უარს ვყოფდით ჩვენს სარწმუნოებას, ეროვნებას, მიწა-წყალს. თავს ვიხეთქდით, სისხლს ვანთხევდით სპარსეთის დიდებისათვის.

სამაგიეროდ გვქონდა ყაენის უხვი წყალობა, ჯამაგირი, ულუფა და საჩუქარი ულეველი: თვალ-მარგალიტი, ხალიჩი, იარაღი, ბედაურები.

სპარსეთის ხალხი კი გვითვალწუნებდა და „ყარა-ოღლის“ (მონას) გვეძახდა.

**

გადავარდა თათრობა, დაგვიდგა რუსობა და რუსების საქმეშიაც—მთავრობის სამსახურში—ჩვენ პირველი ადგილი დავიჭირეთ.

ვინ გადმოიყვანა რუსის ჯარი კავკასიონის მთაზედ და ვინ გაუხსნა გზა აზიის მფლობელობისა, თუ არა ჩვენ? ვინ მიუძღოდა რუსის ჯარს და პირველი ვინ ეძგერებოდა ყიზილბაშს, ოსმალოს და ლეკს, თუ არ ქართველი რაზმი? ვინ გამოუჭედა ყურები რუსეთის მთავრობას, შენი ერთგული ყმა ვართ და ვინ იდღესასწაულა ასი წლის მონობის იუბილე? ისევ ჩვენ.

რუსეთის ერთგულობაში სხვა დაპყრობილ ხალხთა შორის ჩვენ გვქონდა პირველობა და ამ პირველობისათვის ჩვენი მიწა-წყალი რუსეთს დავულოცეთ, ეკლესიაც ვაჩუქეთ და უარვყავით ჩვენი სჯული, ენა და ეროვნობა. თავს ვიხეთქდით, სისხლს ვანთხევდით ბიუროკრატიის დიდებისათვის.

სამაგიეროდ გვქონდა დიდი წყალობა: ჯამაგირი, პენსია, ჩინი-მუნდირი და ჯვარ-მენდლები. რუსეთის ხალხი კი გვითვალისწუნებდა და ხან „ბარან“-ს გვეძახოდა, ხან „გოლოპიატი“—ს.

**

გაუტყდა რუსის მთავრობას იხტიბარი, მოგვევლინა ახალი ღმერთი—„ახალი რუსეთი“ და მისთა მოსავთა და თანამებრძოლთა შორის პირველი ადგილი კიდევ დავიჭირეთ.

პირველნი ჩვენ მიუხდით მტერს. ჩვენ ერთი ვკარით, იმან ათასი. აგვიოხრა მამული, გადაგვიწვა სახლები, და გაგვინადგურა უკანასკნელი ავლა-დიდება, კურდღლის ანაკიდები. და ამ პირველობისთვის კვლავ უარვყავით სამშობლო, ეროვნება და შევიძულეთ წარსული. თავი ვიხეთქეთ, სისხლი ვანთხიეთ, ზურგი გავამათრახებინეთ.

სამაგიეროდ გვერგო,—ჯერ-ჯერობით,—სრული გაკოტრება, სიმშილი, უმეცრება, ქურდობა, ძარცვა-გლეჯა და კაცის კვლა.

რა სახელს დავიმსახურებთ „ახლის რუსეთისაგან“ არ ვიცი, მაგრამ ეკლის კრეფაში პირველობა კი მუდამ ჩვენი იქნება...

გვარისა მოგვდგამს! **რიშ ბაბა.**

# წერილი ოდესიდან

ოდესაში გამართულ ქართულ საღამოს მოკლე ანგარიში.

ნათქვამია: «უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო». ბუნების ულმობელმა კანონმა არ გვაკმარა ის, რაც დაგვმართაადამიანის ტლანქმა ხელმა, გაუმაძღარმა და ვერაგმა და დახშულმა გონებამ, ადამიანთა მსგავს კაცუნების სახელით. ჩვენს დაბეჩავებულს, შეურაცყოფილს და მიწასთან გასწორებულ მხარეს თუ დღემდის ბუნება მაინც უღიმოდა, დღეს იმანაც შეაქცია ზურგი და ლამის არის მოსპობას გვიქადის. თუ დღემდის სხვებს ვარჩენდით, დღეს ჩვენ გავხდით სხვისი ხელგასაწვდომი და სხვისი სარჩენი. ეს ზემოხსენებული აზრი გაუვლიდა ყველას, ვინც წაიკითხავდა ნოემბრის პირველ რიცხვებში «მეგობარში» მოთავსებულ მოწინავე სტატიას სამეგრელოში შიმშილის შესახებ.

და კიდევაც ამ წერილის გავლენით რამდენიმე ამხანაგმა, შემთხვევით ერთად შეკრებილმა, გადავწყვიტეთ მოგვეწვია კრება ქართველ სტუდენტებისა, მიმართულების განურჩევლად, და შევდგომოდით საღამოს გამართვას დამშეულ მეგრელების სასარგებლოდ. კრება დანიშნული იყო 17 ნოემბერსა. მრავალ რიცხოვან კრების მოლოდინში რექტორს დიდი აუდიტორია გამოვთხოვეთ. მაგრამ, საუბედუროდ, მოლოდინი გაგვიცრუვდა: მაშინ, როდესაც ოდესაში ორასამდი ქართველი სტუდენტია და, მიუხედავად იმისა, რომ კრება იყო ასეთ საჭირბოროტო კითხვით გამოწვეული, კრებას 27 კაცი დაესწრო. თავმჯდომარემ კრებას აცნობა შეკრების მიზეზი და გადასცა რამდენისამე ამხანაგის აზრი ქართულ საღამოს გამართვის შესახებ. რამდენისამე ხნის კამათის შემდეგ გადასწყდა: გაიმართოს საღამო დამშეულ მეგრელთა სასარგებლოდ, რაც შეიძლება ნაკლებ გასავლიანი და ამიტომაც ეროვნულ ხასიათს მაინცა და მაინც დიდი ყურადღება ნუ მიექცევაო. არჩეულ იქმნა კომისია, რომელსაც დაევალა საღამოს გამართვა. სხვათა შორის, კომისიაში არჩეულ იქმნა ჩვენი ახალგაზდა მსახიობი ბ-ნი შალვა დადიანი, რომ ლმაც მართლაც დახმარება აღმოუჩინა ამ საქმეს. საღამოს პასუხის მგებლობა ვთხოვეთ ბ-ნ ანდრეევსკის (ქალაქის თავის ამხანაგს), მაგრამ მან სხვა და სხვა მიზეზის გამო უარი განაცხადა, და იმის თხოვნით პასუხისმგებლობა იკისრა ქალაქის თავმა ბ-ნმა პროტოპოპოვმა. ნათქვამია—ღვინო არსად იყო და ემმაკები ტიკებს ბერავდენო.

ჩვენ გეგმას ვაწყობდით და წინ-და-წინ ვხარობდით, რომ საშუალება გვექნებოდა დახმარება აღმოუჩინოთ გაჭირვებულთ, მაგრამ ის კი სულ დაგვავიწყდა, რომ რუსეთის იმპერიაში ვცხოვრობდით, სადაც მშიერისათვის პურის გაწოდება სასტიკად აღკრძალულია. გამოირკვა, რომ საღამოს გამართვა იმ მიზნით, რა მიზნითაც ჩვენ გვინდოდა შეუძლებელი იყო. შევუდექით საღამოს გამართვას «ქართველ ღარიბ სტუდენტთა» სასარგებლოდ. საღამო დანიშნული იყო 9 დეკემბრისათვის. საღამოს გამართვის და ბილეთების გაყიდვის ნებართვა მხოლოდ 7 დეკემბერს მივიღეთ, ე. ი. ერთი დღის წინ, რადგან საღამოს მოთავეობა ქალაქის თავისა მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ ხელი მოაწერა თხოვნას საღამოს გამართვის შესახებ. 850 მანეთი მარტო თეატრი და ტანისამოსის დასაკიდებელი გვიჯდებოდა და ამ ფულს თუ 9 დეკემბერს 8 საათზედ არ ჩავაბარებდით სიბირიაკოვის თეატრის გამგეს, ფარდა არ აიწეოდა. ამის გამო ცოტა შიში არ გამოუვლია კომისიის წევრებს. მაგრამ საბედნიეროდ დეფიციტის მოლოდინის მაგიერ ცოტა მაინც დაგვრჩა. ვფიქრობდით, 200 ან 300 მანეთი იქნება ხარჯიო, ჩვენ კი 1400 მანეთზედ მეტი დაგვეხარჯა. წმინდა შემოსავალი დაგვრჩა მხოლოდ 538 მ. 81 კაპეიკი, რომელიც გადაეცა გრადონაჩალნიკის ერთ საგანგებო მოხელეს, რომელმაც თავის მხრივ უნდა გადასცეს უნივერსიტეტის რექტორს.

კომისიის წევრთა მონდობილობით მადლობას ვუცხადებ ბ-ნ შალვა დადიანს იმ დახმარებისა და შრომისათვის, რომელიც მან გასწია ორი კვირის განმავლობაში საღამოს გამართვის გამო.

**ლ. ლ.**

# ყაზანის უნივერსიტეტის ცხოვრებიდან

კიდევ ქართველების დაპატიმრება.—რექტორის აზრი უნივერსიტეტის შესახებ.—სახ. სათათბიროს კანდიდატის დაპატიმრება.

კავკასიელების დევნამ მეტად სერიოზული ხასიათი მიიღო. ისე დღე არ გაივლის, რომ ორი-სამი კავკასიელი სტუდენტი არ დაიჭირონ ან არ გაჩხრიკონ. 3 იანვარს ნაშუადღევის ორ საათზე, სწორედ იმ დროს, როდესაც სტუდენტებმა სადილი გაათავეს და სტუდენტთა სასადილოდან ბინაში მიდიოდნენ, პოლიციამ ყოვლად უმიზეზოდ შეიპყრო ორი ქართველი სტუდენტი: გიორგი გერმანეს ძე გიორგაძე და ვლასი დავითის ძე გორგობიანი. პოლიციელებმა მსწრაფლად გაამგზავრეს ისინი, მიიყვანეს პოლიციაში და შეამწყვდიეს გაყინულ ბნელ ოთახში. დაჭერის მიზეზი გამოურკვეველია. საკმაოა ჯაშუშას ერთი თვალის გადაქნევა, რომ პოლიციამ, როგორც ქორი წიწილას, გააქროლოს სტუდენტი ქუჩიდან. ამის გამო სტუდენტობა სულ წავიდა ქალაქიდან, დაირჩით მხოლოდ კავკასიელები.

ჩვენი რექტორი, დამსახურებული პროფესორი ზაგოსკინი, აქამდის „ლიბერალი“ და სიტყვით სტუდენტობის ინტერესების დამცველი, სდუმს. რექტორი, რომელიც სამსახურის საქმეების გამო პეტერბურგში იყო, 4 იანვარს დაბრუნდა და შეუდგა სამსახურის ასრულებას. იგი მეტად აღშფოთებულია 20 დეკემბრის ინციდენტის გამო, როდესაც უნივერსიტეტი გაძარცვეს. ჩვენი რექტორი იმ აზრისაა ეხლა, რომ უნივერსიტეტს დაუყენოს პოლიციელები დარაჯებად, ვითომ და სტუდენტობას რაიმე კავშირი ჰქონდეს 20 დეკემბრის კასაზედ თავდასხმასთან. „კაცი ცხენს ვერ მოერია და უნაგირი დაამტვრიაო“, სწორედ ისე მოსდის ჩვენს რექტორსაც. ექსპროპრიატორები ვერ აღმოაჩინეს და ამისათვის სჯიან მთელ სტუდენტობას.

ეხლა რექტორის თანხმობით უნივერსიტეტის შესავალ კარებთან სდგანან პოლიციელები და თვითეულ გამვლელ-გამომვლელს სთხოვენ ბილეთებს. ბ-ნი რექტორი ამით არა კმაყოფილდება და გვემუქრება: კიდევ მეტ რეპრესიებს მოელოდეთო. მოითმენს კი ამას სტუდენტობა?

აქაური ადმინისტრაცია მარტო კავკასიელი სტუდენტების დაჭერით როდი კმაყოფილდება: მან ხელი მიჰყო კავკასიელ პროფესორებსაც. 4 იანვარს დაიჭირეს ექიმი პრივატ-დოცენტი ორლოვი (ტფილისელია) და აგრეთვე მისი ძმა სტუდენტი. ქალაქში გავრცელებულია ხმა, ვითომცორლოვს ესერები სახელმწიფო სათათბიროს კანდიდატად ასახელებდნენო. მაგრამ, ვინ იცის, შეიძლება ეს პოლიციის ხრიკებიც იყოს. ორლოვს, როგორც კავკასიელს, იჭვის თვალით უცქეროდნენ აქამდისაც. დაიჭირეს აგრეთვე ტფილისელი მაჰმადიანი სტუდენტი სეიდოვი. გუშინ, 5 იანვარს, ორლოვის ცოლთან მისულა ვიღაც უცნობი პირი და უკითხავს: მე სტუდენტ კადიმოვის ამხანაგი ვარ და მასწავლეთ სად იმყოფება ეხლა კადიმოვიო (კავკასიელი მაჰმადიანია). უთუოდ ეს უცნობი პირი ჯაშუში იყო. დაიჭირეს აგრეთვე ერთი გიმნაზიის მოსწავლე ქალი, ეს-ერი. ერთის სიტყვით, ესერებს ბოჭავენ, სადაც კი მოასწრობენ.

სტუდენტობა ღელავს.

**ილიკო პაპიკოშვილი.**

# ნ. ა. ხუდადოვი.

წუხელის გარდაიცვალა სამის დღის წინ ვერაგულად დაჭრილი ნიკ. ალექსის ძე ხუდადოვი.

კიდევ ერთი მსხვერპლი იმ შავბნელ ძალებისა, რომელნიც შეკავშირდნენ და ამოძრავდენ თანამედროვე განმათავისუფლებელ მოძრაობის შესაფერხებლად და შესაჩერებლად! ეჭვს გარეშეა, რომ ეს ბოროტ-მოქმედება განზრახ გამზადებულია და ჩადენილი შავრაზმელთა მიერ, რომელთაც ჰგონიათ, რომ დაქირავებულ მკვლელთა შეწევნით და მოღვაწეთა მოკვლით შეიძლება მთელის ხალხის მოძრაობის შეჩერება. არ იციან სულით დაცემულებმა და გონება დაკარგულებმა, რომ ყოველი ახალი მსხვერპლი, რომელიც იწირება ხალხის მოძრაობისათვის, აძლიერებს იმ ცეცხლს, რომელიც საბოლოოდ შთანთქავს ბნელის ძალების ხელმძღვანელებსა და დაქირავებულ მკვლელთა ორგანიზატორებს...

საბრალო ნიკო ხუდადოვი მთელს კავკასიაში კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო. მე-70 წლებში ჩამოვიდა ტფილისს და მას შემდეგ დაუღალავად მუშაობდა როგორც ლიტერატურაში, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე. მონაწილეობას იღებდა ქართულ პრესაში და რუსულშიაც, სადაც დამცველი იყო ხალხის ინტერესებისა და მქადაგებელი მოწინავე აზრებისა, როგორც საზოგადო მოღვაწე, ნიკო ხუდადოვი დაუღალავად მუშაობდა სახალხო საქმისათვის: მისი თაოსნობით და მეცადინეობით დაარსდა ტფილისის სახალხო კითხვების საზოგადოება. მისი თანამშრომლობით და მეცადინეობით არსებობდა სახალხო თეატრი, ხალხიც იცნობდა ამ უანგარო მუშაკს და ხშირად მიჰმართავდა ხოლმე მას გაჭირვებისა და დარდის დროს; ეს ხალხიც არასოდეს არ დაივიწყებს საბრალო მოხუცს, რომელიც ასე ავაზაკურად და თან უმიზეზოდ გამოასალმეს წუთისოფელს.

# პროვინციის ცხოვრება

**ფოთი.** ს.-დემოკრატები თავისას არ იშლიან და თავიანთ გაზეთებს ჭორებით ავსებენ. „გზა“-ში (№ 7) დაიბეჭდა ბ-ნ სამას წერილი ამ სათაურით: „არჩევნების მოლოდინში, წერილი ფოთიდან“. იმ ამბებს, რომელიც ამ წერილშია აქ ვერ მოვიყვანთ, რადგან ბ-ნი სამა ღირსი არ არის, რომ იმის პირად ინტერესი" გაშლენთილი უშინაარსო წერილი კიდევ სხვა გაზეთმა გადაბეჭდოს, მხოლოდ ერიოდე ადგილს ამოვწერ. ავტორი ამბობს: „ასეთია ნატვრა ყოფილ „კაცებისა“, ხოლო დღეს კი კაცუნებად ქცეულისა“ და განაგრძობს: „ასეთ ნატრობს ბ. ფანცხავაც და მისი უმცროსი შვილი ნოე ნატალიაშვილიო“. საკვირველია სწორედ: ბ-ნ სამას ისე დაჩლუნგებია გონება, რომ ვერ მიმხვდარა, თუ ფანცხავა კაცუნაა, თითონ რაღა ენდა იყოს! დავიჯეროთ თავის თავს ბ-ნი სამა ჭიანჭველადა სთვლის... ეს გაუბატონი ფანცხავას წერილებს ეხება, რომელიც „მეგობარ“-ში იყო მოთავსებული და დასცინის, წერილები უსაფუძვლო იყო და გამოსადეგი არჩევნებისთვისო. მაგრამ სამას რომ „მეგობრ“-ის პრესა წაეკითხა ან ს.-დემოკრატებისვე გაზეთი „მნათობი“ (№ 2), მაშინ შეიძლება გაეგო უსაფუძვლო იყო ფანცხავას აზრი თუ ნამდვილ საფუძველზე აგებული. რაც შეეხება თქვენ რჩევას, რომ უკეთესი იყო ფანცხავას სხვა რამე დაეწერა და მით მოეგო თავის პარტიის გული, ამაზე ტყუილად სწუხდებით, რადგან ფანცხავას თავის პარტიის გული კარგა ხანია მოგებული აქვს. ფანცხავას ჩემი გამოსარჩლება არ ესაჭიროება. ამ წერილში ვახსენებ იმიტომ, რომ მეხებით მეც და უფალს მავედრებთ მის უმცროს შვილს. რად გაგიწყდებათ, რომ ვედრება თქვენი საქმეა, ბ. სამა, და არა ჩემი. ჩემი პირადი რწმენაა, აჯვიარო ყოველივე სიმართლე და ამ სიმართლით ბევრს თქვენს ამხანაგს ენა ჩაუგდო მუცელში და ამას მომავალშიაც მოვუღოდეთ.

რაც შეეხება ბ-ნ ნიკოლაძის კანდიდატობის წამოყენებას, ეს აზრი დიდი ხანია ჩვენმა ორგანომ „მეგობარ“-მა გამოსთქვა და ის რომ წაგეკითხათ, ლათაიებს აღარ დაიწყებდით. ფედერალისტები არ წუხან მღვდლები მისცემენ კენჭს თუ არა და თქვენ რაზე შეწუხებულხართ, ბ-ნო სამა? მღვდლების კენჭები თქვენთვის დაგვითმია. მღვდლების თავზე ხელის გადასობა ს.-დემოკრატების ტლანქი არშიყობაა კენჭების მიცემის მოლოდინში. თუ ფანცხავა წავიდა მათ წინააღმდეგ, მას საბუთი ჰქონდა. ამას გარდა ჩვენ-კი არა, თქვენ, ს.-დემოკრატები, მისდევთ სენატის განმარტებას და სამხედრო დიქტატურას. თუ არა გჯერა, მოიგონე თქვენი წარსული? მაგრამ მოგონებას ფიქრი უნდა, ფიქრი და თქვენ-კი შორი-შორსა ხართ, როგორც ცა და დედამიწა.

შემდეგ ბრძანებთ: ფედერალისტებმა პრინციპია სიაში ნაკლები პირები შეიტანონ, რომ ვითომ ბ. ფანცხავას თაოსნობით „უპრავას“ 400 ბინის დამქირავებლიდან 200-ზე მეტი არ შეეტანოს სიაში. ყოველივე ეს თქვენი შეხანხლული სიცრუეა, რადგან ის 200 კაციც ფანცხავას წყალობით არის შეტანილი. ჩვენ კარგად ვიცით საქმე რამაც არის, მაგრამ დროს და გარემოების გამო არ ძალგვიძს ჯერ ჯერობით წარმოვსთქვათ ის, რის თქმაც საჭიროა.

ბ-ნო სამა! ნუ თუ იმდენი არ გაგეგებათ, რომ ფოთის „უპრავა“ შესდგება სამის პირისაგან და თითოეულად ამ პირს არ შეუძლიან არა თუ ასეთი რთული საქმის გადაწყვეტა, არამედ უბრალო საქმისაც? მაშ ბ-ნნი ნ. ნიკოლაძე და ლ. კრუაშვილიც დამნაშავენი ყოფილან? მაგრამ ისინი რომ დამნაშავენი იყვნენ, თქვენს ბრმა თვალებში მაინც მართალნი გამოვლენ, რადგანაც ფანცხავას გვარის გაგონება სიცოცხლეს გისპობთ, ძილს გიბრთხობთ. შევევედრეთ თქვენს სალოცავებს და შესწირეთ ზვარაკი, რომ იგი ფოთიდგან მიდის. მერე თქვენი აშლილი ნერვები შეიძლება თავის კალაპოტში ჩადგეს. **ნატალიაშ-შვილი.**

**ჭიათურა.** დიდი ხანია ჭიათურის მცხოვრებნი საჭიროობდნენ ქალებისათვის სასწავლებელს. შარშან სექტემბერში ქ-ნთ ჩხეიძისამ და ნ. შარაშიძისამ დაარსეს ქალთა პროგიმნაზია; მალე მოწაფენიც აღმოჩნდნენ, დაიწყეს სწავლა მასწავლებლის ქ-ნ ვაშაძის დახმარებით. პირველმა წელიწადმავე დაანახვა დედ-მამას მასწავლებელთა მეცადინეობის ნაყოფი.

სწავლის გარდა სხვაფრივაც დიდ ყურადღებას აქცევენ ბავშვებს. 14 ნოემბერს ჭიათურის თეატრში გამართეს ბავშვების [illegible] ბის ხე. პირველად არჩევნ, ბუნდოვანი სურათები, შემდეგ ახლოს მოსწავლეებმა შეასრულეს როგორც ქართული, ისე რუსული საბავშო სიმღერები. სთქვეს ლექსებიც რუსული და ქართული. განსაკუთრებით საუცხოვო იყო ბავშვების მიერ მოქმედებით წაკითხული იგავ-არაკები. ერთის სიტყვით, ბავშვები ისე თამამად და შნოიანად ასრულებდნენ ყველაფერს, რომ ეტყობოდათ ზე-გავლენა მტკიცე და მხნე მასწავლებელთა.

ჩემის აზრით, კარგი იქნება საზოგადო ყურადღება მიაქციოს პროგიმნაზიას და დახმარება აღმოუჩინოს, რომ უფრო მკვიდრ ნიადაგზე მოეწყოს სასწავლებელი.

**სოფრონი.**

# რუსეთი

✦ **ცნობილ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს მღვდელს პეტროვს** სასულიერო მთავრობამ აუკრძალა ღვდელთ-მოქმედება, სამწერლო მოღვაწეობა და გადაუწყვიტა ჩერემენეცის მონასტერში გაგზავნა. პეტროვს ხელწერილს ჩამოართმევენ, რომ ამიერიდან იგი არაფერს დასწერს საეპარქიო მთავრობის ნება-დაურთველად.

პეტროვის წინააღმდეგ იმიტომ ამხედრდნენ სამღვდელონი, რომ იგი თავის წერილებში არკვევდა დღევანდელ მოძრაობაში სამღვდელოების მავნე მიმართულებას, მთავრობის მომხრეობას, ქრისტეს მოძღვრების გარყვნას. ამას წინად სამღვდელო პირთა კრებაზე იმან გამოაცხადა, რომ მთავრობის მომხრე სამღვდელოება სახარებას უარჰყოფს, არ მისდევს ქრისტეს მცნებას კაცთა თანასწორობისა და ერთობის შესახებ. სამღვდელოებამ კარგად იცის, რომ სახარების დედა-აზრი მთავრობის წინააღმდეგია და იმიტომ უქცევს გზას ქრისტეს მცნებასაო.

✦ **პოლიციის დეპარტამენტში დაარსდა ახალი განყოფილება,** რომელსაც დაევალა პოლიტიკურ დამნაშავეთა დევნა-დატუსაღება რკინის გზების მიდამოებში.

✦ **საქმე გერცენშტეინის მოკვლის შესახებ** (გაგრძელება). მოწმემ რომანოვმა აჩვენა სასამართლოს, რომ „რუსთა კავშირის“ წევრი იუშკევიჩ-კრასკოვსკიმ გასულ ზაფხულში მოლაპარაკება გამართა მასთან, სთხოვდა, ქ. ტერიოკში წასულიყო, უთხრა, იქ ერთი საქმე შევიძლიან შეასრულო და ჯილდოდ ბლომად ფული მიიღოო. რომანოვი მიხვდა, რაში იყო საქმე და უარი უთხრა იუშკევიჩ-კრასკოვსკის. მოლაპარაკების დროს რომანოვმა შეამჩნია კრასკოვსკის სტოლზე რაღაც რგვლად გახვეული ქაღალდები. კრასკოვსკიმ გააფრთხილა, ხელი არ ახლო, თორემ იფეთქებსო. რამდენსამე დღის შემდეგ რომანოვს შეხვდა იმისი ნაცნობი ლარიჩკინი. ლამაზად გამოწყობილი; წინა დროებში კი ლარიჩკინი დაგლეჯილ-დაფლეთილი დადიოდა. ჯიბიდან ფულით სავსე ქისა ამოიღო, თვალწინ დაუქნია და უთხრა: სულელი ხარ, არ იცი რანაირად იშოვება ფულიო. ლაპარაკში გამოურია, კიდევ ერთი ასეთი კაცი რომ მოვკლა, სოფელში ქვის სახლს დავიდგამო, და შემდეგ დაუმატა, გაიგე თუ არა, რომ გერცენშტეინი მოუკლავთო? როცა ლარიჩკინს დავშორდი, ზოგიერთ ჩემ ნაცნობს გადავეცი იმისი ნათქვამი. ორი დღის შემდეგ იგი სახლში შემომივარდა, გამლანძღა და დამიყვირა, ენას თუ არ გააჩერებ ძაღლსავით გაგაგორებო.

სადგ. ტერიოკის მეგაზეთეებმა პიროგოვმა და კლეშჩუკმა აჩვენეს, რომ რკინის გზის სადგურის ჟანდარმთან ვიღაც საეჭვო კაცები დადიოდნენ სტუმრად, რაღაცაზე მოლაპარაკება ჰქონდათ. ერთმა მათგანმა თავის ამხანაგს რევოლვერი აჩვენა და უთხრა—„ხომ ჰხედავ, ამ იარაღით შემიძლია 30 ათასი მანეთი ვიშოვო. რამდენიმე დღის შემდეგ მეგაზეთე პიროგოვმა ყური მოჰკრა, როგორ ეუბნებოდა ჟანდარმის ერთი სტუმართაგანი თავის ამხანაგს, საქმე გათავებულია, თავიდან მოვიშორეთ მთავრობისათვის მავნე კაცი, რომელიც ხალხს აჯანყებდაო.

სასამართლომ დაადგინა დაატუსაღოს ლორინი, ალექსანდროვი, და ტომპლევი. მოოწევის სასამართლოს შემდეგს სხდომაზე, 8 თებერვალს, რუსთა კავშირის წევრები: იუზოვერ-კრასოვსკი, პოლოგოვეი, რიბიუკი, ბელიაევი და ტერიოს სადაური ცინდაში ხაზმოსკი.

✦ **საპოლიციო ხარჯები.** სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაში მოთავსებულ ცნობებით, უკანასკნელ ოთი წლის განმავლობაში 31 მილიონიდან 41 მილიონ მანეთამდის აწეულა; ასე რომ ათი მილიონი მანეთი მომატებია. ამგვარადვე განდიდებულა შენახვა ხარჯებსაც $2^1/_2$ მილიონ მანეთი შემატებია. მარტო პოლიციაზე დღს რუსეთში თითქმის ორჯერ მეტი თანხა იხარჯება; ვიდრე სახალხო განათლებას უნდება.

## ქართული გრამმატიკა
### მოსე ჯანაშვილისა.
(დასასრული *)

ავრეთვე მიუქცევია ავტორი ზმნებს „მო-ტან-ი" და „წა-ღებ-ა"; ისინი ავტორს მოუთავსებია დრონაკლ ზმნებში და ჯარგადაც მოუქცევია, მაგრამ იმის მაგალითებიდან კაცი ვერ გაიგებს, რაშია საქმე; ხოლო საქმე კი ამ რაშია:

ამ მიმართულების მაჩვენებელი ნაწილაკების „წა"-სა და „ალ"-ის შეზავლებით ენა შეუქმნია მოქმედება, რომელიც აონიშნავს ჩვენიდან სხვაგან რომლის ჩადებას მოქმედებს. კი ჩვენკენ რისამე წამოღების მოქმედების აღსანიშნავად არსებობს ფორმა მო-ტან-ა საოდან განჩნდა ეს სიტყვა „ტან"? ჩვენ გვავს სომხურ-ქართული ფორმა „ტან"-ი, რომელიც სომხურში შეუქმნია ზმნა „ტან"-იმ, რაც ნიშნავს წაყვანას, წატანას, მოტანას და სხვ. („ტან"-იმ-იდან ჩვენი გვაქვს სომხურის ორიოტი „ტარი", რომელიც, ცხადია, კავშირი აქვს ქართულ ტარ-ება სთან).

აქვენ ცხადია, თუ რა ძლიერ როლს თამაშობს მოქმედების მაჩვენებელი ნაწილები „მო", „წა", „გა" და სხვა, რომლებიც გეხმარება შეიცვალონ ისითი მოქმედების სახელი, როგორიცაა მოტან-ა და წა-ღება. ამის გარდა ჩვენ არ გვეჩვენება არც ერთი ფორმა ამ მოქმედებათა აღსანიშნავად, რომ არ გვქონდეს დასახელებული მიმართულების ნაწილაკები. ზემოხსენებულ განმარტებათა შემდეგ ხსენება ადვილია შემდეგი ფორმათა გაგება:

მო მი მო გე მო შემო გამო გამო — მაქვს, მქონდა, ვიტანე, ვიღე, მიტანია, მილია, ვიტან, ვიღებ და სხვები.

ფორმებს „ვიტან"-სა და „ვიღებ"-ს., მიმართულების მაჩვენებელ ნაწილთა მოუხმარებლად, სულ სხვა აზრი აქვს: პირველი ნიშნავს: ვითმენ, ვუძლებ, ხოლო მეორე—ხელში ვიჭერ, ვიკავებ, ვიწონებ.

ბ-ნ ჯანაშვილს, რადგან მას ამგვარი საქმე უკიროია, უფრო ერვილად უნდა განემარტა ამგვარ ზმნათა წარმოებული ფორმები და ეჩვენებინა მაგალითებით, თუ რატომ არის ესა და ეს ზმნა დრონაკლი; მის მიერ მოყვანილი მაგალითები კი ძალიან ნაკლებად ხსნის ზემოთ გარდმოცემულ მოვლენებს; ამას გარდა, ამ მაგალითებში ბევრი უზრდოლოება, როგორც მაგ., ფორმები: მომქონებია, მოგქონებია, მოექონებაბოდეს, ან მომქონებია, მომტანებელი და სხვ. (იხ. გვ. 118—119).

ამას გარდა, ვერ გაგვიგია, რატომ მოუთავსებია ავტორს ზმნა „ალ-ება" დრონაკლ ზმნათა რიცხვში, როდესაც მას არც ერთი ფორმა არ აკლია: ავიღებ (ვღებულობ), ავიღებდი, ავიღე, ამიღია, ამეღო, ამღებელი, (ამღები), აღები, აღებული, ავიღები, აღებულვარ; ერთის სიტყვით, არც ერთი საწარმოებელი ფორმა ამ ზმნას არ აკლია (იხ. გვ. 117.)

ამით ვათავებთ ჩვენს შენიშვნებს პატივცემული მ. ჯანაშვილის გრამატიკის შესახებ. ჩამოთვლილ ნაკლულევანებათა მიუხედავად, ბ-ნ ჯანაშვილის შრომა მაინც კიდევ ყურადღების ღირსია ქართულ საგრამატიკო ლიტერატურაში. რაც უნდა ნაკლულევანება ჰქონდეს პატივცემული ავტორის ქართულ გრამატიკას, მას მაინც ერთი თვალსაჩინო მნიშვნელობა აქვს: იგი იძლევა, რამდენადმე მაინც, ნედლ საგრამატიკო მასალას, გვაწვდის დიალექტოლოგიურ ფაქტებს, რაც დღემდის მხოლოდ სურვილ და რჩებოდა.. ამ მხრით პატივცემული მოსე ჯანაშვილი დიდ მადლობის ღირსია ყველას მხრით, ვისაც კი აინტერესებს ჩვენი დედა-ენის მომავალი.

**იუსტინე აბულაძე.**

*) იხ. „ისარი" № 10.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით გამოველაპარაკო ვასილ აბულაძეს. ბრალს მდებს, ვითომ მე იმისათვის ბინა მომეშალოს და მისი ცოლ-შვილი უნუგეშო მდგომარეობაში ჩამეყაროს. ეს ისეთი დანაშაულია, რომ არავის არ ეპატიება, მაგრამ ეს მტკნარი სიცრუეა. მას დიდი ხანია აწეწილდაწეწილი ჰქონდა საქმე. დამემოწმება მთელის იარმუკის ხალხი. არა ერთხელა და ორჯელ გამიწევია დახმარება (ვაი სირცხვილო, რო ამას ვამბობ საჯაროდ, მაგრამ თავათვე მათქმევინა). მე მხედველობაში მაგისთანა ხელოსნები მყავანდნენ, როდესაც ყოვლის ღონით ვცდილობდი შემეერთებინა და ცოტაც არის ტვირთი შემესუბუქებინა. როგორც იყო, ორი-სამი კაცის დახმარებით მოვაწყე საქმე, თუმცა კი 74 კაცმა აღმითქვა დახმარება პაის აღებით და თანხის გადიდებით. უკანასკნელი სამკვდრო-სასიცოცხლო ამ საქმეს მოვ ხმარე და სასურველადაც მოვაწყე. პირველი ჯამაგირიანი ადგილი აბულაძესა ჰხვდა (სხვები ოთხი თვით უსასყიდლოდ ემსახურებოდნენ). აბულაძეს დააკისრეს სახელოსნო განყოფილებაში ემუშავნა და ემუშავებინა ხელ მოკლე ხელოსნები და აგრეთვე ხელფასით ეძლია გარეთ მასალა. 1 ნოემბრისთვის ყველაფერი უკვე მზათ იყო და დავიწყეთ კიდეც ვაჭრობა. მაგრამ აბულაძემ პირველ დღესვე ზურგი შეაქცია სახელოსნო განყოფილებას, შემოძანდა არხეინად და იწყო ვაჭრობა, რომლისთვისაც არც ცოდნა შესწევდა და არც გამოცდილება რაკი ველარა გავაწყეთ რა მაჭავარიანმა და მე. აქ მეტი ვარო, და წავიდა. ორი კვირის განმავლობაში ას ორმოცი თუმნის საქონელი განახევრდა და სულ თვრამეტი თუმანი ფული კი გვქონდა. კარზე მომდგარი ვარშავის საქონელი გამოსახსნელი მქონდა. როგორც იყო ისიც გამოვიხსენ. ვიჭრობა საუცხოვო იყო, მაგრამ რაც საქონელი გადიოდა, იმისი ნახევარი ფული არა სჩანდა. აღმოჩნდა, რომ აბულაძეს ჩვენდა გაუგებრად ნისიათაც ეძლია ისეთი კაცებისათვის, რომელთაც ჩვენ არცკი ვიცნობდით. არც სხვაფრივ იყო ვასილ აბულაძე თავ დაჭერილი. 45 მან. ჯამაგირი ჰქონდა, ათი სული ჰყავდა, რომელთაც ცარიელა პურის ფულადაც არ ეყოფოდათ და 25 მანეთიან სახლში-კი დაიწყო ცხოვრება! მოვალებსაც აქედან დაუწყო გასტუმრება. მაშინ როდესაც პაის ფულიც არ გააჩნდა, რომ შემოეტანა და ამხანაგობას ძალაზე შკაფი მიაღებინა ხუთ თუმანში. ორი თვის განმავლობაში სამას თუმნის გადატრიალებული საქონელი გამოჩნდა; უკანასკნელი სამასი მანეთი ნაღდი მოგება უნდა დარჩენილიყო, მაგრამ სამასი მანეთი ვალი დაგვატყდა თავს, რამაც ამხანაგობაზედ ვერ იმოქმედა კარგა. ეს დანაკლისი უნდა გამოგვესწორებინა სახელოსნო განყოფილების გახსნით. კიდევ არ იდვა აბულაძემ თავს და ამხანაგობა იძულებული გახდა ან დაეკეტნა ან გაესტუმრებინათ ბ-ნი აბულაძე. 2 იანვარს გაუსწორეს ანგარიში. გაჰყიდა თავისი პაი და წავიდა. 6 იანვარს იმისი ცოლი მოვიდა ჩემთან და ერთი დავიდარაბა ასტეხა, თუ ჩემ ქმარს სამი თვის ჯამაგირი არ მიეცით, კარგი საქმე არ დაგემართებათო. ამისი მოწმეებიცა გვყანან. საღამოზედ, $8^1/_2$ საათზედ მაღაზია დაგვიცარიელეს. გულ გახეთქილი ავედი პოლიციაში, სადაც დამნაშავის სკამს ჩემთვის ამზადებდნენ. მაშინ მეც მარიამ აბულაძის დილანდელი ამბავი უამბე. გამიგდეს წინა და სახლი გაუჩხრიკეს, როგორც იმას, ისე იმის სიძეს, რომელიც იმასთან იყო სტუმრად. აი თურმე რა ყოფილა ჩემი დანაშაული. ამითი ვათავებ და ვემორჩილები მედიატორეთა სასამართლოს. დეე დანარჩენსაც მათ გადაჰხადონ ფარდა. ჩემის მხრივ ვასახელებ მედიატორეებათ თომა ჯანყარაშვილს და გრ. ყიფშიძეს. *)

**ს. ზერმენიშვილი**

*) სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ამ საქმის გამო ვსპობთ ჩვენ გაზეთში ყოველსავე კამათს. რედაქცია.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 იანვარი.

**საარბრიუკენი.** როდენის მაღაროდან ჯერჯერობით 24 კაცი გადაარჩინეს. 5 საათამდე 77 გვამი ამოთხარ ს. შემდეგ მაღაროში ცეცხლი გაჩნდა. მშველელი რაზმი უკან გაიწვიეს. რაზმმა მაღაროდან ამო ვლა ძლივს მოასწრო, რომ საშინელი აფეთქება მოხდა. არავინ დაშავებულა. 24 გვამი იცნეს.

**ბრესლავლი.** სილეზიაში გასულ კვირას ყინვისაგან 30 კაცი გაიყინა

**ვენა.** პალატის დეპუტატებს ვადა გაუთავდათ; 17 იანვარს უკანასკნელი სხდომა იყო.

**რიგა.** რიგის ყურეში, დუბოლნისა და კარსბადს შუა, ყინული დაიძრა და 14 მეთევზე გაიტაცა. რიგიდან ყინვის მჭრელი გემი გაჰგზავნეს და იან სხვა გემი გააყოლეს. მეთევზეთა გადარჩენის იმედი აქვთ. ზღვის პირად ბევრგან ცეცხლი გააჩაღეს, რომ გემებს მიმართულება გაუკვალონ.

**სიმფეროპოლი** ევპატორიაში 6 შეიარაღებული ებრაელი თავს დაეცა „რუსის ხალხის კავშირის" კასსირს. დასჭრეს კასირი და მისი ცოლი. სამი დაიჭირეს. მათ სახლში იპოვნეს რევოლიუციონური ლიტერატურა და წითელი ბაირაღები.

იმპერატორ ნიკოლოოზ პირველის სახელობაზე გახსნილ საკომერციო სასწავლებლის I და II კლასებში გაფიცვისა გამო სწავლა შეჩერებულია. ამ სასწავლებლის შენობაში ერთათ შვიდ-გირვანქიანი, მელინიტით გატენილი, ყუმბარა იპოვნეს. ყუმბარა შეამჩნიეს მაშინ, როცა პატრუქს უკვე ცეცხლი ეკიდა. ყუმბარა რომ გამსკდარიყო, დიდი უბედურება დატრიალდებოდა.

**კენიგსბერგი.** პრუსიის მთავრობამ ბრომბერგში შემდეგი ბრძანება გამოსცა: მოწავლეები, რომელნიც თებერვლიდან გაფიცვას განაგრძობენ, გამოირიცხონ ან სხვაგან იქ ნან გადაყვანილნი.

**ლაკე.** ლიევენის სამადნეულოს მეორე მაღაროში გაზმა იფეთქა. როგორც ამბობენ, მოკვდა რამდენიმე მუშა. 812 კაციდან საღამოზე 50 კაცი არ დაბრუნებულა.

**არხანგელსკი.** ქალაქის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებას საღამოზე დაეცა 15 ნიღაბ აფარებული და შეიარაღებული კაცი მოითხოვეს ფული. მაგრამ, მიუხედავად მუქარისა, ფოსტის მოხელეებმა ცივი უარი უთხრეს. მძარცველებმა ერთი რევოლვერი მოიტაცეს და მიიმალნენ.

**მოსკოვი.** უნივერსიტეტის ცენტრალურმა ორგანომ, საბჭოს კომისიასთან თათბირის შემდეგ გადასწყვიტა, სწავლა განაახლოს. დღეს სწავლა დაიწყო. კრებამ, რომელსაც ათასი სტუდენტი დაესწრო, ცენ. ორგ. ნოს განკარგულება მოიწონა.

**ოდესსა.** საკომერციო სასწავლებლის ბუხარში, ნაშუადღევის პირველ საათზე, როცა ჯერ კიდევ მეცადინეობა იყო, იპოვნეს ყუმბარა. ერთ საკლასო ოთახში ვიღაც ორი ახალგაზდა კაცი მივიდა, მოსწავლეები გააფრთხილა დაუყონებლივ ოთახიდან გადითო და თვითონაც გაიქცნენ. როცა ყუმბარა ბუხრიდან გამოიტანეს, ნახეს, რომ პატრუქი თითქმის სრულებით დამწვარიყო

**მოსკოვი.** იმ ხმებისაგამო, ვითომ გრაფი ლევ ტოლსტოი ძლიერ ავად იყოს, სააგენტოს კორესპონდენტს გრაფის შვილი უნახავს მოსკოვში და შეუტყვია, რომ გრაფი სცხოვრობს პოლიანაში; დეკემბერში გრაფი ინფულენციით გახდა ავად, სიცხე 39 გრადუსამდე ადიოდა. მორჩა; შემდეგ ბრანხიტით გახდა ავად; ავადმყოფობა ნორმალურად მიდის და საშიში არ არის.

**ივანოვო-ვოზნესენსკი** კორეტნიკოვის ფაბრიკაში 11 იანვარს 1700 მუშა გაიფიცა. მიზეზად ფეიქრის დათხოვნაა. იგი ქურდობი ათვის დაითხოვეს. გაფიცვაში 800 ქალმა არ მიიღო მონაწილეობა ამათ 16 იანვარი მუშაობა განაახლეს.

**მარშანსკი.** ევიფანოვის პოლკის იარაღის საწყობში ცეცხლმა 300 თოფი და 30.000 პატრონა გაანადგურა.

**ლოძი** ზგეჟში ეკკლესიის, ახლო ვიღაც უცნობმა რევოლვერით მოჰკლა მომრიგებელ მოსამართლის ქალიშვილის მტარებელი. მკვლელობას პოლიტიკური ხასიათი უდევს

**პეტერბურგი.** სახალხო განათლების მინისტრმა მინისტრთა საბჭოში შეიტანა პროექტი სამშობლო ენაზე პირველ დაწყებით სკოლების თავისუფლად გახსნის შესახებ. ამ ერთი კვირის წინად ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიაში დააპატიმრეს რუსეთის სამი ქვეშევრდომი. აბრალებდნენ, ვითომ რუსის სანოსნო საზოგადოების გემი აფეთქება უნდოდათ. მათის დაპატიმრების და რუსეთში ჩამოგზავნის გამო ხალხმა რუსეთის საელჩოს წინ არეულობა მოახდინა და გერბი ჩამოგლიჯა. ბრბო გაფანტეს, წეს-რიგი აღადგინეს. ეგვიპტეს საგარეო საქმეთა მინისტრი რუსის სადიპლომატო აგენტთან მივიდა ქაირში, მომხდარ ამბისა გამო მწუხარება გამოუცხადა

**სარბრიუკენი.** როდენის მაღაროებში მუშაობა განახლდა. დაღუპა სულ 148 კაცი.

რედაქტორ-გამომცემელი
**ივ. ი. მჭედლიშვილი.**


# განცხადებანი

**ჟურნალ-გაზეთების სააგენტო**
**„ფაზისი"**
ძმათა კოხრეიძეებისა
**ქ. ფოთში განყოფილება დ. სამტრედიაში.**

1. ყიდის გაზეთებს სამტრედიიდან დაწყებული რკინის გზის ყველა სადგურებსა და მიდამო სოფლებში იმ ფასად, რაც ზედ აწერია.
2. ღებულობს ხელის მოწერას ყველა ადგილობრივ და სატახტო პროგრესიულ ჟურნალ-გაზეთზე.
3. გაზეთებში დასასტამბად განცხადებებს და წიგნაკებს საკომისიოდ. (4—კოხ.—4)

# კეფირი
## ო. კორონისა
**და იმისი მნიშვნელობა.**

ექიმების სოკლეტის, გაცმერსტენის, შმიდტის და ბილის გამოკვლევით და პრეიერის, იერუსალიმსკისა და მენფელის გამოცდილებით.

**კეფირი** ძალიან უწყობს ხელს სიმძიმის მომატებას,

**კეფირი** საუკეთესო საშუალებაა კუჭის კატარების დროს,

**კეფირი** საუკეთესო საშუალებაა სისხნაკლებობის დროს,

**კეფირი** საუკეთესო საშუალებაა სისუსტის დროს.

**კეფირი** საუკეთესო საშუალებაა სიყვითლის დროს

**კეფირი** საუკეთესო საშუალებაა სურავანდის დროს,

**კეფირი** საუკეთესო საშუალებაა მალღონის აღსადგენად.

კეფირის მიღება შეიძლება მხოლოდ **ო. კორონის** მაღაზიაში, ლორის-მელიქოვის ქუჩა სემინარიის პირდაპირ. იქვე მზადდება აგრეთვე ლაქტობაცილინის რძე **პროფესორის მეჩნიკოვის** სისტემაზე. მსურველთ შეგვიძლიან შინაც მივაწოდოთ. (ნ. 20—15)

# კბილის საექიმოს სკოლა ლ. შტრეიხერისა

**გადვიდა** ერევნის მოედანზე (პუშკინის ქუჩა, № 3), საკრედიტო საზოგადოების სახლში.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნურ კბილის ჩაყენება—3 მანეთი თითო კბილის სადოსტაქრო აპერაციებსაც აკეთებენ. (100—51)

# ნამდვილი კახური ღვინო

ТОВАРИЩЕСТВО КАХЕТИНСКИХЪ ВИНОГРАДАРЕЙ
„Дзмоба"
ძმობა
ამხანაგობა „ძმობა"
ВЪ ТИФЛИСЪ
Телефонъ № 1036.
Головинскій проспектъ д. Добржанской

**ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი.** (100—10)

# ფეხსაცმელი



## ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა, აგრეთვე მსწრაფლ-მავლები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების **საუკეთესო** მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ

**გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ**

**საფაბრიკო ნიშანს**

# ნაღდად გაყიდვა

სავაჭრო სახლის „ლეოპოლდ ნეიშილლერ"-ის
**საქონლისა საწარმოებს ერევნის მოედანზე. ტელეფონი № 40 იქვეა მრავლად**
✦✦✦✦ **ტყავეულობა** ✦✦✦✦
რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. (96—ნ.—42)


სტამბა „იდეალი" (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ., № 6